სამოსდაგაათი წლის უკან 1921 წელს საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, იარაღის ძალით მოსპობი მისი თავისუფლება, სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი, მოახდინა ქვეყნის სრული ოკუპაცია და ანექსია და საქართველო საბჭოთა იმპერიის ადმინისტრაციულ-რეგიონალურ ნაწილად აქცია. საქართველოს ოკუპაცია და ანექსია იყო შეიარაღებული აგრესია და საერთაშორისო დანაშაული, რომელიც ჩაიდინა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. მოკლდათა და აგრესიის მანძილზე, საბჭოთა დამპყრობლების ხელში, ქართველმა ერმა მრავალი უბედურება იწვნია — დეკარგა ეროვნული ტერიტორიების ერთ მესამედზე მეტი, მასობრივი რეპრესიებით განადგურდა ერის ხარისხობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ნაწილი, დაზარალდა და დაენიდა სულიერება და კულტურა ხალხისა, გააპარჩანდა და გაჩანაგდა ეროვნული მემკვიდრეობა და ეკონომიკა; ერთი სიტყვით, საბჭოთა აგრესიამ ქართველ ხალხს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა და ეს აგრესია დღემდე გრძელდება — საქართველო კვლავ უცხო ქვეყნის დამპყრობლის ქა-

რებით არის ოკუპირებული და კვლავ საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო საზღვრების შემადგენლობაში იმყოფება.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მოუწოდებს ქართველ ერს, დუმილით ნუ შეხვდება მომავალს, აღიადლოს ხმა, კვლავ ააგუგუნოს და ააზვიროთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რათა ქართველი ხალხის გატანული და გაიწამებინა ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ოკუპაციის სამოცდამეათე წელს გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

1991 წლის 25 მარტს, ორშაბათს, დღის ოთხ საათზე, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, კინოს სახლის წინ, შოთა რუსთაველის მოედანზე, აწყობს მანიფესტაციას საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით.

მოვეწოდებით ყველა ქართველს აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ აქციაში.

ღმერთი ფარავდეს საქართველოს!

ირაკლი წარბეთელი

საშტროტო ქალაქი

იღუმენი ფილარეტი

„ზნეობითი ღვთისმეტყველების კონსპექტი“

თავი XI

პრინციპების გულის განვითარება. მსოფლიოს პრინციპი. პრინციპის განვითარება. სილაგაზისა და ზნეობის კავშირი.


ახლა ადამიანში გულის განვითარების საკითხზე ვისაუბროთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულის ცნებაში ვგულისხმობთ სასიამოვნო და უსიამოვნო შეგრძნებათა განცდის უნარს. ეს გრძნობები სხვადასხვაგვარია. იგი იწყება უმძაბრესი, ორგანული გრძნობებით (მაგ. სიმწარის, სიტკბოს, სიგულუვის და ა. შ. განცდით) და უმაღლეს (ესთეტიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ) გრძნობებს მოიცავს, ამგვარ უმაღლეს გრძნობებს ემოციებსაც უწოდებენ. ადამიანის გულის აღზრდა სწორედ ემოციების განვითარებას გულისხმობს. შევჩერდეთ ერთ-ერთ ემოციაზე — ესთეტიკურ გრძნობაზე. ესთეტიკური გრძნობა ეწოდება მშვენიერების გრძნობას — ადამიანის უნარს დაინახოს და გაიგოს, დატკბეს და აღფრთოვანდეს ყველანაირი სილამაზით, ყოველივე მშვენიერით, მიუხედავად იმისა, თუ რითი ვლინდება იგი. სილამაზით ასეთი აღტაცება შეიძლება ვადაინახოს თავშეუქცევებელ, მგზნებარე აღფრთოვანებაში (ოღა პოეზიაში; საეკლესიო საგალობლებში, — მაგ. „შენ გაქვებთ, ღმერთო“), ანდა წყნარ, მშვიდ, ღრმა გრძნობებში (მაგ. ელეგია ან იდილია პოეზიაში), ღვთისმსახურებაში (მაგ. „ნათელი, მხიარული“). ამრიგად, ესთეტიკური გრძნობა განუყოფელია მშვენიერებისა და სილამაზის იდეისაგან.

მაგრამ, დაისმის კითხვა — რა არის სილამაზე? ამ კითხვას სხვადასხვანაირად პასუხობენ. საუკეთესო პასუხად უნდა ვაღიაროთ შემდეგი: სილამაზე არის იდეის შინაარსისა და ფორმის სრული თანხმობა. რაც უფრო ამდლებულია იდეის შინაარსი და რაც უფრო ნატიფი, რელიგიური და სრულყოფილია ფორმა, რომლითაც ეს იდეა გადმოცემული, მით უფრო მეტი იქნება მასში სილამაზე, მით უფრო მშვენიერი იქნება ეს მოვლენა. ცხადია, პრინციპობა, უნდალეს მშვენიერებას ღმერთში ხედავს, რადგან სწორედ ღმერთშია სილამაზის და სრულყოფილების საგნება. ესთეტიკური გრძნობა მეტნაკლებად ყველა ადამიანს ახასიათებს, მაგრამ ის ყოველთვის როდია განვითარებული სწორი სახითა და მთელი სისრულით.

ესთეტიკური გრძნობის სათანადო აღზრდა ადამიანში ამა თუ იმ მოვლენის ან ხელოვნების ნიმუშის სწორად შეფასების უნარის განხის გზით ხორციელდება. ესთეტიკურად აღზრდილი ადამიანი შეძლებს აღმოაჩინოს სრულყოფილების

და მშვენიერების ნიშნები კარგ ნახატში, მუსიკალურ კომპოზიციაში ან ლიტერატურულ ნაწარმოებში. იგი თვითონვე მიხვდება, შეაფასებს და შეძლებს სხვადასხვა აუხსნას, სახელდობრ, რა არის მშვენიერი მოცემულ ხელოვნების ნაწარმოებში, რა შინაარსია მასში და როგორი ფორმით არის ის გადმოცემული. პრინციპობა აფასებს სილამაზეს და უყვარს იგი. პრინციპობაში სილამაზეს ვხედავთ ყველგან, ხუროთმოძღვრებაში, საეკლესიო საგალობლების მუსიკაში, ფერწერა-ხატწერაში. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ უმკაცრეს პრინციპ მოღვაწეებს (მოსაგრეებს), რომელთაც სრულიად უარყვეს ეს სოფელი, უყვარდათ და აფასებდნენ ბუნების სილამაზეს, ასე იყო ეს უძველესი დროიდან (წმ. ბასილი დიდთან და სხვა წმიდა მამებთან) და ასევე ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც. ყველა საუკეთესო მონასტერი დაარსებულია სილამაზით გამორჩეულ ადგილებში. ეს სილამაზე იზიდავდა ამ სავანეთა წმიდა დამაარსებლებს (აღმშენებლებს) და მოღვაწეებს, აღფრთოვანებდა უკლებლივ ყველა მოციქულს და მწახველს. ასე ვლინდება პრინციპობის ნათელი სული ყოველივე ქეშმარიტად მშვენიერისადმი დამოკიდებულებაში. თვით სახარებაშიც ვხედავთ, თუ როგორი სიყვარულით ეპყრობა ქრისტე მაცხოვარი „შრომანს ველისას“, „ცის მფრინველთ“, ლელვის ხეს, ვაზს. ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ეპოქაში წმიდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი, უმზერდა რა ღვთის ქმნილებების მშვენიერებასა და სიდიადეს, ამბობდა: „ყოველივე სიბრძნით ჰქმენ...“ (103 ფს. 24). სხვა ფსალმუნში, როდესაც იგი ბუნებას მიმართავს როგორც ცოცხალ და გონიერ არსებას, ამბობს: „ყოველი სული აქებდით უფალსა...“ „აქებდით, მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ყოველნი ვარსკვლავნი და ნათელნი...“ (ფს. 138 3), მაგრამ პრინციპობას შეუძლია აღიაროს ქეშმარიტ მშვენიერებად მხოლოდ ის, რაც არა მარტო სილამაზითა და ფორმის სინატიფით ატკობს ჩვენს გრძნობებს, არამედ, ამავე დროს, რასაც ზნეობრივი ღირებულება გააჩნია. ქეშმარიტი მშვენიერება ყოველთვის ამდლებს, აკეთილშობილებს, განანათლებს ადამიანის სულს და სიმართლისა და სიკეთის იდეალებს უსახავს მას. პრინციპი არასოდეს უწოდებს მშვენიერს იმ მოვლენას, ან ხელოვნების ნაწარმოებს, — თუნდაც საუკეთესოდ იყოს ის შესრულებული, რომელიც არათუ განწმენდს და განანათლებს ადამიანის სულს, არამედ შერყვნის და აბნელებს მას.

იბეჭდება მამა არჩილის რეკომენდაციით. ითარგმნა თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის კათედრაზე.



სხვა გაზეთებიდან

პარიზული უდაბნო

ასეთი ეგზოტიკური სახელი დაარქვეს საუდის არაბეთში გოგონას, რომელიც სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების დამთავრების დღეს დაიბადა („ტოროვია გაზეთი“ № 30, 1991 წ.). გოგონას სახელი შეურჩია ომის დამთავრებით აღფრთოვანებულმა მამამ, რომელმაც ყურად არ იღო გაოგნებული მრავალრიცხოვანი ნაიესავეებისა და ოჯახის წევრების ჩვეუწამულდარა.

გაგარი, მასურაბელი და სიყვარული

როგორც „არგუმენტი ი ფატი“ (№ 10, 1991 წ.) იუწყება, ჟურნალ „შტრეიტ“ კორესპონდენტმა იმდენად ალაპარაკა დასავლეთ-გერმანელი ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, რომ მკითხველის წინაშე ფაქტიურად დღემდე უცნობი „მსოფლიოს პირველი ჩოგანი“ წარსდგა. მაგალითად, ბეკერმა განაცხადა, რომ მარტო წიგნებიდან კი არა, საკუთარი გამოცდილებითაც სურს იცოდეს, თუ რა ნიშნავს, „როცა შენს ლოგინში შემთხვევით ვიღაცას აღმოაჩენ, ანდა კარგად გამოთვრალი მილასლასდები შინ და დილით თავის ტუივილი დაგანგავს...“ რაც შეეხება მასურაბელისადმი დამოკიდებულებას, ბეკერმა ხაზი გაუსვა შემდეგს: „საუკეთესო თამაშის დროს მასურაბელისადმი ჩემი დამოკიდებულება ეროტიულია. კომენტატორები თუ ტელემაყურებლები თამაშის მხოლოდ გარეგან გამოვლინებას ხედავენ, ისინი ვერ გრძნობენ, რა ხდება ჩემს სულში, საიდან ვიღებ ენერჯის, ჩემთვის 20 000 მასურაბელის თვალწინ ზუთი საათის თამაში სასიყვარულო აქტივითაა“.

ნავსორივი ახალ „სიმაღლეზე“

„რაბოჩია ტრიბუნამ“ სარედაქტორო ნომერში დაბეჭდა პოპულარული ტელეჟურნალისტების ვლადიმერ მოლოჩანოვის, ურმას ოტისა და ალექსანდრ ნევიზოროვის ბლიკ-ინტერვიუები, რომლებიც ქალბისადმი მათ დამოკიდებულებას ეხება.

თუ მოლოჩანოვი და ოტი, აჭერადაც, ჩვეულებისამებრ, ჩეტლმენებლ გვევლინებიან და ალურსიან სიტყვებს არ აკლებენ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს, ნევიზოროვი ახალ „სიმაღლეზეა“. აი, რას ამბობს იგი კონკრეტულად: „მე მომწონს უტყვი ქალები, რომლებსაც არასოდეს არც ერთ საკითხზე არ გააჩნიათ საკუთარი აზრი... ქალების გამო არავითარი საინტერესო ისტორია არ გადაიხდენია, რადგან ყველაფერი საინტერესო ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ჩემი ნებითა და სურვილით ხდება, ქალები კი მხოლოდ გარემოებები არიან და მეტი არაფერი. ერთადერთი საინტერესო, აღბათ, მათი მორჩულების პროცესია, როცა მტკიცე მასიათის ადამიანისაგან ერთ წელიწადში მორჩილ, უტყვი არსებას იღებ“.

„ადამიანი ქალად არ იბადება...“

ვაზეთი „სოვეტსკაია მოლოდიოჟ“ მოიხმობს რა მწერალ სიმონა დე ბოვუარის სიტყვებს — „ადამიანი ქალად არ იბადება, ის შემდგომ იქცევა ქალად“, ამტკიცებს, რომ გენეტიკის თვალსაზრისით ეს მართლაც ასეა.

განვითარების დასაწყისში, დედის საშოში, ყველა ჩანასახი მდელობითი სქესისაა. შემდეგ ხდება ქრომოსომების შერევა და განისაზღვრება მომავალი ბავშვის სქესი. ის იღებს ქალის ან პირიქით, მამაკაცის „სულს“. თუ ადამიანი თავს საპირისპირო სქესის წარმომადგენლად გრძნობს და საკუთარი სხეულის ტყვეობიდან თავისდაღწევას ცდილობს, ეს ტრანსსექსუალიზმია. ასეთი ადამიანები გაწამებული არიან გაოგნების გამო, გარშემოყოფნი კი მათ, უკეთეს შემთხვევაში, შერყევილებად აღიქვამენ.

საბჭოთა კავშირში ტარდება სქესის შეცვლის ოპერაციები, მაგ. რამ მათი შედეგები, სამწუხარო, დიდ იმედს ვერავის უსახავს...

ამ რამდენიმე დღის წინ საინფორმაციო პროგრამა „მომავალი“ (მეორე დღეს კი კი საინფორმაციო — მუსიკალური პროგრამა „ნაშუადღევმა“) გვამცნო იმის შესახებ, რომ ონის რაიონის (ზემო რაჭა) სოფლის სასოფლო-საბუკოში შემავალი ოსების დასახლებული სოფლების — ვადაშხა და ჭვებარის — მოსახლეობას მიუძღრავს „ადამონ ნინასისათვის“ „ქართველები გვჩაგრვენ და დაგვეჩაგრეთ“. ოსთა გარკვეული ნაწილის მოქმედება, რბილად რომ ვთქვათ, კარგა ხანია გვაკვირვებს და უკვე თითქოს შევიჩვიეთ კადეცი. მიუხედავად ამისა, ვადაშხა-ჭვებარის ოსების შესახებ ინფორმაციამ მათი ძალიან განაცვიფრა და იმეორებდა მთელი რაჭის და განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაზე (სოფლის სასოფლო საბუკოში) გაერთიანებული ერთი ქართული სოფელი — სორი და ორი — ოსებით დასახლებული, ზემოთ მითითებული სოფელი, რომელთა გვერდითაც ათეული წლების მანძილზე ცხოვრობენ და მოღვაწეობენ ვადაშხა-ჭვებარელები. ბოლო წლებში ქართველებსა და ოსებს შორის ჩამოვარდნილი გაუგებრობის დროსაც კი, სორელები აღნიშნული სოფლების მცხოვრებლებს „ჩვენს ოსებს“ უწოდებდნენ და მათგან დალატს გამოირიცხებდნენ. ამ წერილის ავტორი მრავალგზის შეხვედრისა და უშუალო (ეთნოგრაფიული მასალები ჩაუწერია) რაჭის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ოსურ სოფელში — ლურჯეშხა, კვაჯაში/კოხი, ვადაშხა და ჭვებარში. აქაურებს, ისევე, როგორც ყველა ოსს, ყველგან, სანიმუშო მასპინძლობა გაუწევიათ, ქართველების მიმართ მხოლოდ კეთილი დამოკიდებულება და მადლიერების გრძნობა გამოუჩაგრათ და უტყუარი (შესაძლებლობის ფარგლებში) ეთნოგრაფიული მასალები მიუწოდებიათ. ამ მასალებიდან (რომელთა სხვა მონაცემებიც აღსატურებენ) ჩვენ გვიხდა ზოგიერთი რამ შევასწავროთ სავრთოდ ყველა ოსს და კერძოდ, რაჭაში ჩასახლებულ მათ თანამოძემებს:

1. რაჭაში მცხოვრებმა ყოველმა ოსმა შესანიშნავად იცის ზემო რაჭის ტერიტორიაზე ოსური სოფლების გარეშის ისტორია — ვადმოკემებით და საბუთებთა. იცის, რომ ყველა ოსური დასახლება ძველი ქართული ნაშთის ხლარების ადგილზე დაფუძნდა. ისიც კარგად არის მათთვის ცნობილი, რომ ოთხი ოსური სოფლიდან ორი — ლურჯეშხა და კვაჯა/კოხი ქართველებისაგან დასახლებულნი, თვითნებურად დასახლებულნი არიან. პირველი მათგანი მდებარეობდა მდ. ჭანჭახის სათავეებთან (კურორტ შვიდიან 9 კმ-ზე) — მამისონის უღებრბილთან ახლოს. ეს სოფელი ჩრდ. ოსეთის მამისონის ხეობიდან ვადმოკემობდა ოსებმა დასახლეს გასულ სოფლებში (დაახლოებით მისი მესამე ათწლეულისათვის). ამ ტერიტორიის იმჟამინდელ მფლობელს — სოფელ ვადაშხას მოსახლეობას — არათუ წინააღმდეგობა არ გაუწევია მათთვის, არამედ, როგორც ოსებისავე ნათქვამიც ვადაშხა-ჭვებარეებს, თვით ის, გლოლაში ჩასახლება, მიწის

ნაკვეთის გამოყოფა და დახმარების სახით ყოველი ოჯახისაგან საქონლის შეწევნაც შეუთავაზებიათ. ოსებს წინადადება არ მიუღიათ — გლოლაში ვაჭარებულდებით. გლოლელები გაგებით მოკიდებიან მათ სურვილს და თავიანთი კუთვნილი საუკეთესო საძოვრებიც (მდ. ჭანჭახის სათავეებში) დაუთმობთ. დათმობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ფაქტიურად აღარ იყენებდნენ გლოლელები მათ სხვა საძოვრებიც (ქონით), იურიდიულად და ტრადიციის მიხედვით კი კვლავ მათ ეკუთვნოდათ. ორ სოფელს შორის დიდხანს კეთილმზობიური და ნათესაური დამოკიდებულება სუფევდა (ქორწინება, ნათესაობა, კერძობა — ხელოვნურად ნათესაობის ერთი ფორმა —

აკავშირებდათ). მხოლოდ 1918 წლის შემდეგ ჩატეხილა ხიდი ლურჯეშხასა და გლოლელებს შორის; მანათა მიერ შეგულიანებულ ოსებს გლოლელები მიერ ნებაყოფლობით დათმობილი მიწები არ უშვებიათ და უფრო დრამად მოუხდინებიათ გლოლელებს საზღვრებში შეჭრა. ჩრდილოელი თანამოძემებიც მოშველიებიან ოსებს, მაგრამ საწადილისათვის ვერ მიუღწევიათ — ამჯერად, რაჭელებს მამა-პაპური მიწის ზედმეტი ნაწილი აღარ დაუთმობიათ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლურჯეშხა-გლოლელებს ბოლომდე მთავრობასთან უჩივლიათ „ქართველები გვაკვირვებენ და გვიშველიათ“. მათაც „უშველიათ“ და სოფელი ახლად შექმნილი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის მიუკუთვნებიათ (ჯავის რაიონისათვის).

ს. კვაჯა/კოხი მდ. ლარულას სათავეებში დაარსეს „კვიასის მხრიდან“ — კუდაროსა და ბილიკებს ამოყოლილმა ოსებმა, რომელთაც ძველ ქართულ ნაშთსაღარზე ნაკვეთები დაამუშავეს, ტუე ვაჭარებს — ახლათეს და დაფუძნდნენ. ამ შემთხვევაშიც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, საყვირდობაც არ უთქვამთ ქართველებს (იქვე ახლოში მცხოვრებ ამ მიწების კირისფალ ღარელებსაც კი). კეთილი, გულარეგინი ქართველები ყოველთვის თბილ, ნათესაურ დამოკიდებულებაში იყვნენ კვაჯელებთანაც (ს. კვაჯა დაარსდა ოსთაგან ჩვენი საუკუნის დასაწყისში). ამის შესახებაც კარგად უწყობდნენ რაჭისა და კუდაროს ოსებმა.

სს. ვადაშხა და ჭვებარი ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან ჩამოყალიბდა სოფლებად სორელს ახალგაზრდა ოსებისგან (ვაჭარებიც, გოციორბებიც) იჯარით აღებული მიწებზე. აქაური ოსებისაგან ვიცით, რომ მათ არასოდეს შეხვედრიათ უსიამოვნება სორელებთან სხვა ქართველებისაგან აქ ჩამოსახლების ნიდაგზე. პირიქით, მხოლოდ სიკეთეს იხსენებენ ვადაშხა-ჭვებარელები. კონკრეტულ მაგალითებსაც გვასახელებდნენ:

იჯარაში ერთი მეოთხედი უნდა გადაეხდებოდა, მაგრამ მიწის მეპატრონეები 'სრულად იშვიათად გვახდენდნენ მას, ნაწლებად მოსაგლიან წლებში — საერთოდ არ გვართმევდნენ გადასახადს, სათესლსაც თვით გვაწვდიდნენ, ტყის ვანუსაზღვრელად მოხმარების უფლებას გვაძლევდნენ და სხვა. (განსაკუთრებით თბილად იგონებენ მიწის მეპატრონე ბუიანიშვილებს, რომელთაც მიწის გარკვეული ნაწილი ამ ადგილებში ჰქონიათ). სორელებთან (აგრეთვე სხვა ქართველებთან) ვადამშკებრელებს აკავშირებთ ნათესაობა, ქორწინება (ამ შემთხვევაშიც ვადაშხა-ჭვებარელები ქალი სორელებს ვადაშხაში, მიწველ-მოსვლა და კეთილი განწყობა.

2. ოსებისაგან განსაკუთრებით დასაფასებელი უნდა იყოს მიწით ღარიბ ზემო რაჭაში მოსულთადაც ასეთი დამოკიდებულება. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ზოგი შემთხვევაში პირიქით მოხდა. იქვე რამდენიმე მომენტზე შევაჩერებთ ყურადღებას: ტომანიშვილთა ოსთა დამოკიდებულება რაჭაში:

მდ. ჭანჭახის ხეობის სათავეებში ოსთაგან დასახლებულ სოფელს როგორც ქართველი, ასევე ოსი მოსახლეობაც, ერთი სახელწოდებით იცნობს — ლურჯეშხა. ასევე იცნობენ მას მოგზაურები და საერთოდ, ლიტერატურული მონაცემებიც. მაგრამ, დაინტერესებულმა პირმა შეხება რომ დაუწყოს მას საქართველოს (სსრ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში, ვერსად იპოვებს. ჩვენ დავეხმარებთ მკითხველს და მივუთითებთ, რომ აღნიშნული სოფელი ცნობარებში სახელდება ოსთა როგორც ვადისარია. საიდანა? — იკითხავთ, ალბათ. იქიდან, ბატონებო, რომ მამისონის ხეობიდან ჩამოსახლებულმა ოსებმა გლოლელებსა კუთვნილი საუკეთესო საძოვრები რომ დაიკავეს, ამ ტერიტორიის ისტორიული ქართველი სახელწოდება ტყისთავი/ტყეთავი ოსურად თარგმნეს და ამიერიდან ვადისარია შეარქვეს (ყად-ტყე, ხართავი, ვადისარია — ტყისთავი). შემდეგ ეს სახელწოდება სოფლის აღსანიშნავადაც დააყენეს და ვახლოდ საუკუნის ბოლოდან ასევე შევიდა სტატისტიკურ მონაცემებში. ამრიგად, ქართული სტრუქტურის მქონე ტომონიმი საბუთებიდან გაქრა, მაგრამ ადგილზე ამის შესახებ არც კი იცოდნენ. დღემდე სოფელს რაჭელები და ოსებიც მხოლოდ ლურჯეშხა უწოდებდნენ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შედგენილ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის გამოცემაშია მხოლოდ მითითებული სოფლის ორივე სახელწოდება — ლურჯეშხა და ვადისარია — ლურჯეშხა. შემდგომი წლების გამოცემებში მხოლოდ ვადისარია ჩაწერილი. ასეთი ცვლილებები

ზოგად განუცდია ქართულ ტომონიმებს (მაგ. მეჭულის ხეობაში ღრმის სასოფლო საბუკოში მითითებული ს. ახსარჩინი თხინვალის სახეობა და სხვ.). იგივე „დაჩაგრულ“ ვადაშხა-ჭვებარელებს თითქმის უმეტესობა ტომონიმებისა ნათარგმნი აქვთ ახალი ტომონიმი შეუქმნიათ. (ასეთი მოვლენები ხშირ საქართველოს ყველა კუთხეში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა). თუნდაც რად ღირს გუჯარეთის ხეობაში (ბორჯომის რაიონი) სოფელ ღვთისშობელს სახელი რომ შეუცვალეს და ოსი რევოლუციონერის გვარი აიღაროვს რომ უწოდეს, ხოლო ამავე აიღაროვს სახელი წააფრე შეარქვეს ყორნისხს (ამჟამად ერთ შემთხვევაში აღდგა სამართლიანობა). ასეთი პატივი არცერთ ქა-

რთველს არ ღირსებია და სად ჩანს ოსთა ჩაგვრა — საკითხავია.

3. ყურადღებას იქცევს სოფელთა როდენობის ხელოვნური გაზრდის პრაქტიკა ყოველ სახერხეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. რაჭის ტერიტორიაზე რომ მხოლოდ ოთხი ოსური სოფელი არსებობდა (ახლა არის სამი) ყოველმა აქაურმა ქართველმა და ოსმა ბავშვმაც კი იცის. მაგრამ თუ ჩავხედავთ ყველა გამოცემის (1987 წლისამდე) საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში, ვხედავთ რომ ჯავის რ-ში მითითებულია სამი დამოუკიდებელი სოფელი: ზემო კოხი, შუა კოხი, ქვემო კოხი. გამოდის, რომ რაჭაში ოთხი კი არა, ექვსი ოსური სოფელი ყოფილა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. არსებობს ერთი სოფელი კოხი, რომელშიც გამოიყოფა სამი უბანი — ზემო კოხი/ზემო სოფელი/ზემო უბანი — შესაბამისად ოსურად გამოითქმის — ულაჯ კოხი/ულაჯ ყაუ (ყაუ აღნიშნავს სოფელს და უბანსაც) ან ულაჯ სიხ (უბანი, ასტაუჯაგ კოხი ან სიხ/ყაუ, დალაჯ ყაუ/სიხ. ეს ისეთივე უბნებია, სოფლის ნაწილებია, როგორც ყველა სოფელშია — მაგ. ზემო სორი, ქვემო სორი, და სხვ. (ან ზემო და ქვემო სოფელი). ცხადია, არსებობენ ერთი და იგივე სახელწოდების სოფლები წინ წამდვარებული განსაზღვრებით, მაგრამ აქ დამოკიდებული სოფლების არსებობასთან გვაქვს საქმე და არა უბნებთან. ს. კოხის მოსახლეობა საკმაოდ შემცირებულია, ზამთარში აქ რამდენიმე ოჯახი რჩება და არ ჰქონია ადგილი სოფლიდან ახალი დასახლების გამოყოფას. არცერთ ოსს არ მოუღია ახლად თქვას, რომ რაჭაში სამი დამოუკიდებელი ს. კოხი არსებობს. ეს ფაქტი ავტონომიური ოლქის დასახლებულ პუნქტთა ხელოვნურად გაზრდის იდეას ემსახურებოდა. უფრო მეტიც, ამ იდეასვე ემსახურებოდა არარსებულ და ცილილ სოფელთა რეალურად არსებულად წარმოდგენა. სოფელი ლურჯეშხა (რომელზედაც ზემოთ ვისახებრეთ) 1969

წლიდან დაცილილია. მაგრამ იგი რეალურად არსებულ სოფლად არის მითითებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1987 წლის გამოცემაშიც. მაშინ, როდესაც რაჭის მდ. ლარულას ხეობაში მდებარე ს. კვაჯა-გომი (გომის სსს. საბუკოში შემავალი) იმავე სამოციანი წლების ბოლოდან დაწყებული ამოღებულ იქნა ცნობარებიდან (და სწორადაც). ასეთი მაგალითები სხვაც ბევრია. მაგ. მეჭულის ხეობაში დიდი ხნის წინ დაცილილი ქვემო ქლივანა (სამხ. ოსეთის აო-ს ღრმის სასოფლო საბუკო) კვლავ ფიგურირებს ცნობარებში.

ამრიგად, კარგად ჩანს, რომ ფაქტების გაყალბებას ყოველი ოსის შესაბამისი სამსახური უწყობდნენ ხელს, ხოლო საქართველოს ცენტრალური უწყებები, ვისაც ეს ეხებოდა, არასოდეს ცდილან დასახლებული პუნქტების რეალურად არსებობა. მათი სახელწოდებები, დაუხსნებლობა, შეუმოწმებლობა, საერთოდ უტყუარი, დასახლებული მონაცემები წარმოედგინათ.

ყოველგვარ შემთხვევით შემდეგ საინტერესოა ვკითხოთ ვადამშკებრელებს მოჩივანებს, საერთოდ ოსებს, ვინ უფრო დაჩაგრული გამოჩნდა საკუთარ სამშობლოში? ვანა ის, რაც ქართველებს სიკეთე უთქვამთ ადრე ოსებს, ყველაფერი სიტუაციით და ახლა ამბობენ მართალს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეცდომაში შევანობი, „ადამონ ნინასთან“ მოჩივან ოსების აზრს ყველა არ გაიზიარებს. ბევრი მათგანი, ალბათ, ვერც ერკვევა მოვლენებში და მათი ვითარება „მოკეთებები“ დათვურ სამსახურს უწევს ნაკლებად წიგნიერ ზოგიერთ თანამოძემთ, როდესაც ცრურწმენას უმტკიცებენ იმის შესახებ, თითქოს მათი ამჟამინდელი საცხოვრობი სხვისი ისტორიული სამშობლო კი არ არის, არამედ — მათა, რომ საქართველოში ოსებს ჩაგვრავენ და სხვ. ამით კი მათ უბიძგებენ კანონსწინააღმდეგო ქმედებისაკენ. ჩვენ გვაქვს (მას მრავალი ფაქტიც ადასტურებს), რომ ოსთა უმრავლესობა სწორად აფასებს მოვლენებს, ამის საფუძველს ჩვენ გვაძლევს ის კეთილი, მგლობრული, მადლიერი ზნობა, დამოკიდებულება, რომელსაც წლების მანძილზე გამოხატავდნენ არა მარტო საქართველოში მცხოვრები, არამედ ჩრდილო ოსეთის თითქმის ყველა ხეობის ყველა სოფლის ოსი მასპინძლები. არაერთ ოსს უთქვამს ჩვენთვის — „რაც კარგი რამ ვისწავლეთ, ყველაფერი ქართველებისაგანა“. ჩვენც ბევრი რამ გვისწავლია მათგან. იმედია, სანთელ-საქმეველი არცერთ მხარეში არ დაკარგავს გზას.

გულდამ ნიძოვანი,
ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბატონო ნოდარ ნოდარ ნოდარ ნათაქას

ბატონო ნოდარ!
ყურადღებით გავცანი თქვენს წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“. უპირველეს ყოვლისა, გაცნობებთ, რომ არა მარტო მესმის, არამედ სავსებით ვიზრებ თქვენს შეფოტებას ჩვენი სამშობლოს დღევანდელი ურთულესი მდგომარეობის გამო, რაც განპირობებულია, ერთი მხრივ მის გარშემო და მის მიმართ, რეაქციული ძალების მიერ ორგანიზებული, პოლიტიკური და ეკონომიკური, აშკარა თუ ფარული შეშინებით, მეორე მხრივ, რესპუბლიკის შიგნით ეთნოკონფლიქტების, ქარბულითა შორის დაპირისპირების, განხეთქილების ინსპირირებით, ამასთან, საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციის არასრული მასშტაბისა და გაქანების კამპანიით. მოვლენები ისე ვითარდება, რომ საქართველოს წინააღმდეგ სახზე-

დრო ძალის გამოყენება „კიდევ ერთი მსხვილმასშტაბიანი სისხლიანი აქციის“ (როგორც თქვენ წერთ) ჩატარება გამოირცხული არ არის. საგნებით გეთანხმებით, რომ მოსალოდნელია საშიშროების, ახალი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, ცნობილი პოლიტიკური მეთოდებისა და საშუალებების ამოქმედებასთან ერთად, საჭიროა ჩვენი უახლესი ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების ყოველმხრივი, ობიექტური და დასაბუთებული შესწავლა და ანალიზი. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, გაიკვლია და ირკვევა, ბევრ კითხვას ვაეცე პასუხი, თუმცა ვასარკვევი და დასაზღვენი კიდევ მრავალია. მერწმუნეთ, 9 აპრილის ტრაგედია პირადად ჩემი უდიდესი ტრაგედიაა. ნებისმიერი შეხება მას-

თან უნდა იყოს ზედმიწევნით მართალი. ამიტომ, თავიდანვე აბსოლუტურად არაფერი დამიბალავს იმ კომისიების წინაშე, რომლებიც რესპუბლიკის თუ საქვეშინო პარლამენტების მიერ იყო შექმნილი და რომლის მუშაობაში თქვენც მონაწილეობდით. მას შემდეგ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ საკვ ცენტრალური კომიტეტში პოლიტიკური ყოფილი წევრების საჭარო კამათის, კომისიების დასვენების, მრავალი გამოსვლისა და დოკუმენტის პუბლიკაციის შედეგად, მანამდე ჩემთვის უცნობი ფაქტებიც წარმოჩნდა და ხალხმა დაინახა ვინ არის ვინ. ზალხმა ისიც დაინახა და სათანადოდ შეაფასა, რომ გორბაჩოვთან დაწყებული, საკავშირო თუ რესპუბლიკური ფუნქციონირებით დამთავრებული, ყველა თუ არა, უმრავლესობა მხოლოდ ნა-

ხევის სიმართლეს ამბობს და პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ცდილობს. ეს უბედურებაა. ასე ქეშმარიტებამდე გერ მივალთ. იგი, მოგახსენებთ, მხოლოდ ერთი და მის დასადგენად პატიოსან დამოკიდებულებასთან ერთად მოითხოვს აუცილებელი ყოფილიყო დოკუმენტების შესწავლასა და ანალიზს. მაგამ ვანა ისედაც აშკარა არ არის, რომ ცენტრს რესპუბლიკის მიმართ ერთი პოლიტიკა ჰქონდა და აქვს, მიუხედავად იმ კომუფლიაისა, რომლის მეშვეობით იმპერიული დიქტატი ამჟამად ასე მონათვებით ახალ დემოკრატიად სურთ წარმოადგინონ. დღევანდელ დღეს კი, ქეშმარიტების დასადგენად აუცილებელ პირობად მიმაჩნია იმ დოკუმენტების გამოქვეყნება, რომლებიც იქმნებოდა რესპუბლიკის უმრავლესობის კომიტეტში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და იტხანებოდა ცენტრში. მათი გამოშვებობა საბოლოოდ მოპყვნს

ნათელს 9 აპრილის ტრაგედიაში, რომლის განმეორების საშიშროება თანდათან უფრო რეალური ხდება. ყველა ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩემს მიერ ყველა ახსნა-განმარტებაში ყველა კომისიის მიმართ არ იყო დამალული ოღონდ მანაც ის ინფორმაცია, რომელიც მე გამაჩნდა იმ პერიოდისათვის. რაც შეეხება ტრაგედიამდე ჩემი და გორბაჩოვის შეხვედრას, ამ საუბრის ძირითადი თემა იყო აუხანზეში შექმნილი რთული სიტუაცია, გამოყვეული იმ სეპარატისტული განცხადებების გამო, რომელიც დამგობილი იქნა ჩვენს მიერ 29 მარტს უმაღლესი საბჭოს სესიისზე, ხოლო 9 აპრილის შემდეგ მას არ შეგვედრებინა და არავითარი საუბარი არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ იყო ჩვენს შორის გასარკვევი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომცეს.

ჯუშუა პაბიანი

მცირე საწარმო „ესტიტი“

სამუშაოდ იწვევს სხვა და სხვა სპეციალობის (დურგლებს; ელექტრიკოსებს; შემღებლებებს; მწნეხავებს და სხვა) — ახალგაზრდებს, როგორც სამუშაოს სტაჟის ჩათვლით, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე.
შრომის ანაზღაურება მოხდება გამომუშავებით (450-დან 800 მანეთამდე). ცნობისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 39-48-27 (10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე). მისამართი: ალ. ჯაბუგის პროსპ. №44 (ყოფილი პავლოვის ქუჩა).

კომერციული ფირმა „მირაჟი“

დინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს სთავაზობს მსუბუქ ავტომობილებს „ჟუდი 80“-ს და „ფორდ-სკორპიონ“-ს ცნობებისათვის დარეკეთ 16.00-მდე ტელ-ზე 86-76-60, საღამოს საათებში ტელ-ზე 78-18-96.
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

უცხო ენათა შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ:

კოორპერატივი „შუამავალი 88“ გთავაზობს სწრაფ შემსწავლელ კურსებს ფსიქოლოგთა დახმარებით ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ებრაული, იბრიტული.
ჯგუფების დაკომპლექტება მოთავსდება 31 მარტს.
ჯგუფები სწავლას შეუდგებიან 1 აპრილიდან. სწავლის ვადაა 3 თვე. მეცადინეობას წაუძღვებიან მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები და ფსიქოლოგები. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საღამოს 6 სთ-დან 10 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ჯაბუგის ქ. 29. 60-ე საზ. სკოლა ტ. 39-21-78
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

გსურთ მიიღოთ ტალეგადაცემა თანამგზავრის საშუალებით?

შეიძინეთ კოოპერატივი „გორდა“-ს საინფორმაციო გამოშვება, სადაც თქვენ გაეცნობით: სად და როგორ, რა ფასებში შეიძინოთ სატელევიზიო თანამგზავრის მიძღვნილი ანტენა? აქ მოყვანილია კოოპერატივების, ფირმებისა და საწარმოების მისამართები, რომლებიც ასწავლებენ, ჰყვებიან ან აგზავნიან მიძღვნილ ანტენებს. აგრეთვე ის საწარმოები, რომლებიც გზავნიან მაკომპლექტებულ დეტალებს, რაც უფრო იაფი ჯდება. გამოშვების ღირებულებაა 8 მან. კოოპერატივი საჭიროების შემთხვევაში გაგიწევთ საშუალოდ მომსახურებას ანტენის შექმნაში.
რა არის სათანამგზავრო ტელევიზია? როგორ გამოვიანგარიშოთ საჭირო დიამეტრი მიძღვნილ ანტენისათვის? როგორ უნდა იყოს ანტენა პარაბოლური თუ პლანარული? როგორ შევადგინოთ სქემები კოლექტორი მიძღვნილათვის? საინფორმაციო გამოშვებაში მოყვანილია საზღვარგარეთის თანამგზავრების სიმძლავრის დონეები, მომსახურების ზონები, რეტრანსლიატორის სიხშირეები, სატელევიზიო სტანდარტები. აქ თავმოყრილია ყველა ის შეკითხვა თუ ინფორმაცია, რაც ამომწურავ პასუხს გაგცემთ აქამდე თქვენთვის უცნობ სფეროში წამოჭრილ პრობლემებზე. გამოშვების ფასია 14 მან. საინფორმაციო გამოშვება გამოგვგზავნებათ მას შემდეგ, რაც საფოსტო გზავნილით მივიღებთ აღნიშნულ თანხას მისამართზე: 383230 ქ. ლაგოდეხი, რუსთაველის ქუჩა № 89, კოოპერატივი „გორდა“.
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

მრავალდარგობრივი ფირმა „ალიანსის“ განცხადება

ახალგაზრდულ ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის ბათუმის ორგანიზაციასთან შექმნილია მრავალდარგობრივი ფირმა „ალიანსი“, რომელიც დააფინანსებს ასოციაციას, რათა მან გასწიოს ფართო ქრისტიანული საქველმოქმედო საქმიანობა აჭარაში.
ფირმა „ალიანსი“ თავის მოღვაწეობაში გადადგა პირველი ნაბიჯი. დაწყებულია საქართველოს ყველა აეროპორტიდან ნებისმიერი მიმართულებით მიმავალი მგზავრების დაზღვევა. შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდება ტექნიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებას.
ფირმა „ალიანსი“ მადლობას უხდის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, საქართველოს აეროპორტებისა და ცენტრალური ავიასაღმარეოების ხელმძღვანელობას საქმიანი თანამშრომლობისათვის.
სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

გამოსაქრება

პითოგაპალიოტკლავანს?

ამ რამდენიმე წინა წინა „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა კახა შაშიაშვილის წერილი, სადაც ავტორი წერს: „ჩემი თხოვნაა და ალბათ ყველა ქართველი დიდი სიხარულით შეხვდება, რომ დაუბრუნდეს ქართული მნიშვნელობის სახელი მდინარეს და ალაზნის ნაცვლად კვლავ „სამურა“ დავამკვიდროთ“. თხოვნა დასაბუთებულია იმ მოტივით, თითქოს „ალაზნი“ ეტიმოლოგიის დადგენა არაბული ენის მეშვეობით არის შესაძლებელი და აღნიშნული პიდრონიძის სპარსელებმა უკიდურესი ძალადობის გამოყენებით XV-VII საუკუნიდან დაამკვიდრეს. სამწუხაროდ, კახა შაშიაშვილის მოსაზრებანი ამსოლტურად უსაფუძვლოა და გამოძინარებულზე გულუბრყვილო, ხალხური ეტიმოლოგიდას. რაკი ასეთ სერიოზულ წინადადებას აყენებს, ავტორს, ან-

გარკვეული უნდა გაეწია მეცნიერებისათვის.
მეცნიერების მიხედვით კი ასე განსაზღვრავთ: პიდრონიძის „ალაზნი“ მოხსენიებული აქვს ბერძენ გეოგრაფთა და ისტორიკოსის სტრაბონის (ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის 64 — ახალი წელთაღრიცხვის 23 წლებში). მისეულ „გეოგრაფიაში“ იბერიისა და ალბანეთის (კავკასიის) აღწერისას მდინარის სახელი ფიგურირებს „ალაზონისის“ სახით, რაც, ცხადია, ბერძნული ენის მიხედვითაა გაფორმებული. ასე რომ, ჯერ კიდევ ექვს საუკუნეზე მეტი წინა წინაობით, ვიდრე მუშაობდა თავის რელიგიის იქნადავება და თქვენთვის საუკუნით ადრე, ვიდრე კახეთში სპარსელთა ხანი გაჩნდებოდა, „ალაზანი“ უკვე დამკვიდრებული იყო ქართველთა შორის. საკუთრივ ქართულ წერილობით ძეგლებში „ალაზნი“ რამდენჯერმე გვხვდება „მატიანე ქართლისაში“, „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ და „ისტორიანსა და აზმანში შარავანდედთაში“. მეტიც, „ალაზანი“ იორსაც კი უწოდებდნენ „აღმოსავლეთის“ განსხვავებით მცირის ფორმით. „სამურა“ კი ალაზნის აღმართებზე ვეჭვობს სადმე იყოს წერილობით დაფიქსირებული.
კახა შაშიაშვილის აღნიშნულ პუბლიკაციაში დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი. განა საჯაროობა და დემოკრატიზმი ყველა მოსაზრების საქვეყნოდ გამოტანას ნიშნავს? განა თითოეული მოსაზრება, სანამ, მით უმეტეს, რესპუბლიკური დონის პრესაში იქნება გამოტანილი, კრიტიკულად არ უნდა იქნეს შემოწმებული.
გურამ ყორანაშვილი

განცხადება

საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის საზოგადოება „თანამგზავრი“ მიმდინარე წლის 24 მარტიდან მთელი წლის განმავლობაში გთავაზობთ სასურველს ქ. მინსკისა და უფრო რიგის საერთაშორისო ტურისტულ ცენტრებში დასასვენებლად. საგზურის ღირებულება 200 მანეთია. საგზურის ღირებულებაში შედის კომფორტაბელური სასტუმ-

როში ცხოვრების, კვებისა და საექსკურსიო მომსახურების ღირებულება.
დინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა უნდა მოგვმართოს მისამართზე: ქ. თბილისი, მახაბლის ქ. № 11.
დამატებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ ტელეფონზე: 93-66-35.
საპარტიზოლო საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის საზოგადოება „თანამგზავრი“.

უკადღება!

მერაბ კოსტავას სახელობის პუბლიკატორული ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა საინფორმაციო საზოგადოება „ქსენონი“, რომელიც მოწოდებულია საქველმოქმედო საქმიანობით სულიერი თანადგომა და დახმარება აღმოუჩინოს ძვირფასი სუბიექტებისთვის ადამიანებს და ხანდაზმულებს, ამ საქმეში პრო-

ფესიონალი ფსიქოლოგებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობით.
საზოგადოება „ქსენონი“ მზად არის მიაგლოს თავისი სამუშაო ჯგუფები ყველგან, სადაც საქართველებს მის დახმარებას.
ჩვენი მისამართია: ა. წერეთლის გამზ. 14, სოც. უზრუნველყოფის სამინისტრო, მე-2 სართული (მეტრო, დიდუბე), ტელ: 34-02-82.

პეორა პეოვნული

დღეს ჩვენი რესპუბლიკის ათ ქალაქში სტარტს აიღებს საქართველოს 1991 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში. „ახალგაზრდა ივერიელი“ ულოცავს ამ დღეს ფეხბურთელებს და ფეხბურთის მოყვარულებს. მათთვის ამ დღისათვის სპეციალურად მომზადებული მახალის შეთავაზება გვსურდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ბოლო მომენტამდე გაურკვეველი სიტუაცია იყო და მხოლოდ გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე საბოლოოდ დაზუსტდა ყველაფერი, ვეღარ მოვახერხეთ მისი გამოქვეყნება.

მცირე განმარტება

მოგესვენებათ, რომ 1990 წლის აგვისტოში „ახალგაზრდა ივერიელი“ დაიბეჭდა რამდენიმე ფუნაგორია ლაღო ასათიანის ავტორობით. მე ეს ფუნაგორიები ამოვიკრიბე მამაჩემის, მწერალ მურმან ქოიავას პირადი არქივიდან. იმ პერიოდის ქართულ მწერლობაში გავრცელებული იყო აზრი, რომ ეს ფუნაგორიები ეკუთვნოდა ბატონ ლაღო ასათიანს. როგორც ირკვევა, ეს აზრი მთლად უსტად არ შეესაბამება სიმართლეს, რისთვისაც ბოდიშს ვიხდებ ბატონ ლაღოს სულის წინაშე.
ზვიად ანთაპა

სალოგაზრდა ივერიელი
Обществово-политическая газета

ტელეფონები: მახალის — 98-97-81;
მახალისელები მდიანი — 98-21-59;
წერილების განყოფილება — 98-99-29.

გაზეთი პეორა პეოვნული საგზურის საზოგადოება „თანამგზავრი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, მახაბლის ქ. № 11.
ჩვენს უკან არ უბრუნდება.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახაბლის ქ. № 11.
გაზეთის მისამართი: თბილისი, მახაბლის ქ. № 11.

საქართველოს უზრუნველყოფის გამომცემლობა „სამშობლოს“ ტბაში, თბილისი.
მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფეტური წიხით საგაზეთო კორპუსში, ბ. შარაულის 29.
№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15
ჩვენს ინდექს 66400

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახაბლის ქ. № 11.
გაზეთის მისამართი: თბილისი, მახაბლის ქ. № 11.